KA030135215920619

№ 01-3965 **22 / აპრილი / 2019 წ.**

საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან
დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური
დაცვის მინისტრს ბატონ დავით სერგეენკოს

ანალიტიკის, ადამიანური რესურსების მართვისა და
საერთაშორისო ურთიერთობების დეპარტამენტის
უფროსის, პირველადი სტრუქტურული ერთეულის
ხელმძღვანელის სოფიკო ბელქანიას

მოხსენებითი ბარათი

ბატონო დავით,

მოგახსენებთ, რომ შრომის საერთაშორისო ორგანიზაციის (ILO) 100 წლის იუბილესთან დაკავშირებით ლიეტუვის სოციალური დაცვის და შრომის სამინისტრო მიმდინარე წლის 25-26 აპრილს ლიეტუვაში, ქ. ვილნიუსში გეგმავს მაღალი დონის საერთაშორისო კონფერენციის - „Towards a Digitalized World of Work: What Future Works for All?“ ჩატარებას.

ღონისძიების მიზანია მაღალი დონის დებატების წარმართვა და ინფორმაციის გაცვლა შრომის მომავალთან დაკავშირებულ საკითხებზე, შესაბამის გამოწვევებზე და მათი გადაჭრის გზებზე.

კონფერენციაში მონაწილეობის მიზნით მიწვეულია საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის მოადგილე თამილა ბარკალაია. დღის წესრიგით გათვალისწინებულია მინისტრის მოადგილის სიტყვით გამოსვლა მეორე „Platform Economy: what challenges for social protection coverage new forms of work create?“ და მესამე „Future of work without inequalities– gender and youth perspective“ პარალელურ სესიებზე.

ლიეტუვის სოციალური დაცვის და შრომის სამინისტრო უზრუნველყოფს მგზავრობის და სასტუმროს ხარჯების ანაზღაურებას.

თქვენი თანხმობის შემთხვევაში, უზრუნველვყოფთ ქალბატონი თამილა ბარკალაიასთვის მივლინების ბრძანების გაფორმებას 2019 წლის 24 მარტიდან 26 მარტის ჩათვლით და დღიური ნორმისა და დღიურ ნორმაზე დანამატის ანაზღაურებას მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად.

პატივისცემით,

ხელმოწერილია/
შტამპდასმულია
ელექტრონულად

ანალიტიკის, ადამიანური რესურსების
მართვისა და საერთაშორისო ურთიერთობების
დეპარტამენტის უფროსი, პირველადი
სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელი

სოფიკო ბელქანია